ურთიერთგაგების მემორანდუმი

შრომითი მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა

მის.: აკ. წერეთლის გამზ. 144, თბილისი, 0119, საქართველო

და

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ GmbH) „მიგრაცია განვითარებისთვის“ გლობალურ პროგრამას

მის.: დაგ-ჰამარსკიოლდ ვეგ 1-5, 65760 ეშბორნი, გერმანია

შორის

ივლისი 2016 წ. - ივლისი 2019 წ.

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ GmbH), (შემდგომში GIZ), წარმოდგენილი „მიგრაცია განვითარებისთვის“ გლობალური პროგრამის მიერ, აცხადებენ, რომ სურთ დაამყარონ პარტნიორობა პროგრამის - „შრომითი მიგრაციის სტრატეგიის და მისი განხორციელების გაძლიერება საქართველოში“ - ფარგლებში.

2. GIZ/”მიგრაცია განვითარებისთვის” გლობალური პროგრამა, მოქმედებს რა გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) სახელით, მიზნად ისახავს თანმიმდევრული და განვითარებაზე ორიენტირებული (ცირკულარული) შრომითი ბაზრის და მიგრაციის მართვის ხელშეწყობას, როგორც პოლიტიკის შემუშავების, ასევე ორგანიზაციულ და განხორციელების ეტაპებზე. ურთიერთგაგების მემორანდუმის მიზანია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაძლებლობათა გაზრდა თანმიმდევრული და განვითარებაზე ორიენტირებული შრომითი მიგრაციის და შრომის ბაზრის მართვის უზრუნველყოფის კუთხით. მემორანდუმით განსაზღვრული თანამშრომლობა არსებითად, წარიმართება მიგრაციის პოლიტიკის საკითხებში კონსულტაციის გაწევის კონტექსტში.

3. წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და GIZ “მიგრაცია განვითარებისთვის” გლობალური პროგრამის როლს, ფუნქციებს და პასუხისმგებლობებს, მემორანდუმით განსაზღვრულ ვალდებულებათა შესრულების მიზნით.

4. თანამშრომლობა ემყარება ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს მიერ ერთობლივად დაფინანსებული პროექტის - „ევროკავშირის პარტნიორობა მობილურობისათვის განვითარების პოტენციალის გაძლიერება საქართველოში მიზნობრივი ცირკულარული მიგრაციისა და დიასპორის მობილიზების გზით“ - ფარგლებში შეძენილ გამოცდილებას. ხსენებული პროექტის განხორციელება დაიწყო 2013 წლის მაისში და მოიცვა 36 თვე. მისი საბოლოო მიზანი იყო „პარტნიორობა მობილურობისათვის“ (MP) დეკლარაციით გათვალისწინებული განვითარების პოტენციალის გამოყენება მიგრანტების, გამგზავნი და მიმღები ქვეყნების სასარგებლოდ. პროექტი ითვალისწინებდა სახელმძღვანელო პრინციპებისა და სასარგებლო პრაქტიკის გამოვლენას, რაც გაზიარებული იქნება ევროკავშირის სხვა MP-ების ფარგლებშიც. პროექტი განახორციელა გერმანულ-

ქართულმა კონსორციუმმა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა GIZ-ის პროგრამა „მიგრაცია განვითარებისთვის“, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო და საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო პროექტის შედეგების ერთ-ერთი მთავარი ბენეფიციარია. პროექტის ძირითად კომპონენტს წარმოადგენდა საქართველოსა და გერმანიის საჭიროებებზე მორგებული კვალიფიციური ცირკულარული მიგრაციის საპილოტე სქემის შემუშავება და ტესტირება. საცდელი სქემის შედეგები შეყვანილი იქნა საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის დღის წესრიგში.

5. მემორანდუმის საგანი:

მემორანდუმის საგანს წარმოადგენს GIZ-სა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის თანამშრომლობა, პროგრამის - „მიგრაცია განვითარებისთვის“ კომპონენტის - „კონსულტაცია შრომითი მიგრაციის პოლიტიკის საკითხებში“ - ფარგლებში შემდეგი ძირითადი მიმართულებით:

5.1 შრომითი (ცირკულარული) მიგრაციის სფეროში პოლიტიკის შემუშავების მიმართებაში შესაძლებლობების გაზრდა;

5.2 „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის განხორციელების ხელშეწყობა და საჭიროების შემთხვევაში, მასში შესატანი ცვლილებების შემუშავებაში დახმარება;

5.3 შრომითი მიგრაციის მონაცემთა ბაზის და მისი მართვის მეთოდოლოგიების შემუშავება.

6. მემორანდუმის სამიზნე ჯგუფებია:

- მიგრანტები, რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები;
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პერსონალი, შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი;
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის პერსონალი.

7. მემორანდუმის მხარეები

7.1 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილებაა:

7.1.1 სრულფასოვანი თანამშრომლობის განხორციელების და მისი შედეგების პრაქტიკაში დანერგვის განხილვის უზრუნველყოფა;
7.1.2 შრომითი მიგრაციის სფეროში პრიორიტეტული საკითხების და ღონისძიებების იდენტიფიცირება;
7.1.3 GIZ-ის „მიგრაცია განვითარებისთვის“ პროგრამასთან სისტემატური კომუნიკაციის უზრუნველყოფა;
7.1.4 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ-ებთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია და თანამშრომლობის ხელშეწყობა;
7.1.5 არსებულ მონაცემთა ბაზებზე (შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა, www.worknet.gov.ge მონაცემთა ბაზა) და მეთოდოლოგიებზე წვდომის უზრუნველყოფა;
7.1.6 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გერმანელი/ევროპელი ინტეგრირებული ექსპერტის განთავსება ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება ექსპერტსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის და რომელშიც გათვალისწინებული იქნება GIZ-ის მიერ უზრუნველყოფილი სახელფასო დანამატი. ექსპერტი დახმარებას გაუწევს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომითი მიგრაციის კუთხით შესაძლებლობათა ზრდაში;
7.1.7 კონფერენციების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების ორგანიზება ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის გასამყარებლად;
7.1.8 მიგრაციისა და განვითარების სფეროში საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენა და გასაჯაროება.

7.2 გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ GmbH) / გლობალური პროგრამის „მიგრაცია განვითარებისთვის“ უფლებამოსილებაა:

7.2.1 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის სტრატეგიის და პოლიტიკის შემუშავების კუთხით კონსულტაციების გაწევა შრომითი მიგრაციის მართვის სფეროში;
7.2.2 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ინტეგრირებული ექსპერტის მივლინება ორი წლის ვადით (ვადის გაგრძელების შესაძლებლობის გათვალისწინებით თანამშრომლობის პერიოდის შესაბამისად);
7.2.3 მოკლევადიანი ექსპერტული შეფასების უზრუნველყოფა თანამშრომლობის ძირითად მიმართულებათა მიხედვით;

7.2.4 ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევა კონფერენციების, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებაში, ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის გასამყარებლად;

7.2.5 მედია-მასალების მომზადება მიგრაციისა და განვითარების სფეროში;

7.2.6 თანამშრომლობის ზემოქმედების შეფასება და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის ანგარიშების წარდგენა პროექტთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, რომელსაც შეიმუშავებს ინტეგრირებული ექსპერტი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

8. მხარეთა შორის თანამშრომლობა შემდეგ სახელმძღვანელო პრინციპებს ემყარება:

8.1 GIZ-სა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის ურთიერთმხარდაჭერითი, მტკიცე და დინამიური თანამშრომლობის დამყარება და პატივისცემა;

8.2 მჭიდრო თანამშრომლობა დონორ ორგანიზაციებთან და საქართველოს შესაბამის სამთავრობო უწყებებთან მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მიერ შემუშავებულ ფორმატში;

8.3 თანამშრომლობა ხორციელდება 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის და "შრომითი მიგრაციის შესახებ" საქართველოს კანონის (რომელიც ძალაში შევიდა 2015 წლის 1 ნოემბერს) და ასევე, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მე-16 სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, რომლის მიხედვით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გამოთქვა ცირკულარული მიგრაციის სფეროში საქმიანობათა წარმართვის მზაობა;

8.4 თანამშრომლობა ხორციელდება მდგრადობის, ეფექტურობის, ეფექტიანობის და გამჭირვალობის პრინციპებზე დაყრდნობით.

9. დამატებითი პირობები

9.1. მემორანდუმის მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მემორანდუმი არ არის იურიდიულად სავალდებულო და არ აწესებს რაიმე უფლებებს ან ვალდებულებებს ხელმომწერ მხარეებს შორის;

9.2 წინამდებარე მემორანდუმის ნაწილს არ წარმოადგენს სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს თანამშრომლობის პერიოდს, მაგრამ იგი შემუშავდება წინამდებარე დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ, თანამშრომლობის საკითხებზე 2016 წლის 7 აპრილის სემინარის შედეგების საფუძველზე;

9.3 კონკრეტული ერთობლივი ღონისძიებების გატარებისას, მემორანდუმის მხარეები მოახდენენ ურთიერთკოორდინაციას წერილობითი ფორმით. მომდევნო

რეგულარული (და ასევე, საჭიროების შემთხვევაში, რიგგარეშე) შეხვედრები წარიმართება პოლიტიკის შემუშავების და მართვის დონეზე, მიღწეული პროგრესის განხილვისა და შეფასების, და საჭიროების შემთხვევაში, საქმიანობათა ადაპტირების მიზნით.

10. მემორანდუმის შეწყვეტა

10.1 რომელიმე მხარის მიერ თავისი უფლებამოსილების არაჯეროვნად შესრულების ან, ასევე, თანამშრომლობის ერთ-ერთი მხარის ინიციატივით შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში, მემორანდუმის ფარგლებში გათვალისწინებული თანამშრომლობა შეიძლება შეწყდეს, ერთ-ერთი მხარის შესაბამისი წერილობითი შეტყობინებიდან სამი თვის განმავლობაში.

11. ცვლილებების და დამატებების შეტანა

11.1 მხარეთა შეთანხმებით, მემორანდუმის ტექსტი შეიძლება განახლდეს, ან მასში შევიდეს დამატებები. მხარეები თანხმდებიან, წერილობითი ფორმით აცნობონ ერთმანეთს მემორანდუმის განხორციელების პერიოდში წარმოქმნილი პრობლემების შესახებ. მემორანდუმის განხორციელებასთან დაკავშირებით წამოჭრილი მნიშვნელოვანი კითხვები მხარეებს შორის თანხმდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

11.2 იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე მუხლი (მუხლები) ძალას დაკარგავს ან წინააღმდეგობაში მოვა შეთანხმებულ პრინციპებთან, მხარეები შეეცდებიან, შეიტანონ შესაბამისი კორექტივები მემორანდუმის შესაბამისად;

11.3 ნებისმიერი სახის ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით და იგი წარმოადგენს წინამდებარე მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

12. დასკვნითი დებულებები

12.1 წინამდებარე მემორანდუმი იდება სამი წლის ვადით და თავდაპირველი შეთანხმებით მოქმედებს 2016 წლის ივლისიდან 2019 წლის ივლისამდე;

12.2 მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან. მემორანდუმი შედგენილია ორ ეგზემპლარად ინგლისურ და ქართულ ენებზე. თითო ეგზემპლარი (ინგლისური და ქართული) გადაეცემა თითოეულ მხარეს;

12.3 მემორანდუმის ტექსტში განსხვავების, ან წინააღმდეგობის აღმოჩენის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ვარიანტს.

ვალერი კვარაცხელია
მინისტრის მოადგილე
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მარია შეფერი
GIZ-ის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი

რალფ ზანფტენბერგი
GIZ-ის პროგრამის დირექტორი, პროგრამა „მიგრაცია განვითარებისთვის“